



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



საქართველოს 2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა

სატელევიზიო ტოკ-შოუების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში

2 აგვისტო - 25 სექტემბერი, 2021



საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

წინამდებარე ანგარიში მომზადებული და გამოცემულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ, ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუმეგობელია.

სარჩევი

პროექტის შესახებ	4
მეთოდოლოგია	4
ძირითადი ტენდენციები	5
საზოგადოებრივი მაუწყებელი	6
თავისუფალი ხედვა.....	6
დებატები	7
დღის თემა	8
აქტუალური თემა	10
იმედი	11
იმედი ლაივი.....	11
არჩევნები 2021.....	12
რუსთავი 2	13
ღამის კურიერი	13
TV პირველი	16
რეაქცია.....	16
საჯარო პოლიტიკა.....	16
პოლიტიკური კვირა	17
პოლიტიკური ამბები	18
მთავარი არხი	18
მთავარი აქცენტები	18
მთავარი დებატები თამარ ბაღაშვილთან ერთად.....	19

აჭარის ტელევიზია	20
თვითმმართველობის არჩევნები 2021.....	20
თავისუფალი ხედავა.....	21
სათქმელი	22
მთავარი აჭარაში	23
TV 25	23
პოზიცია.....	23
TV გურჯაანი	24
არჩევნები 2021.....	24
ოდიში	25
არჩევნები 2021.....	25
გურია TV	26
წინასაარჩევნო დებატები.....	26
რიონი	26
პოლიტიკური რუკა	26
დიალოგი	27
თრიალეთი	28
საზოგადოების პოზიცია	28

პროექტის შესახებ

2021 წლის მუნიციპალურ არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია აკვირდება მედიას ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის, „2021 წლის მუნიციპალური არჩევნების მედიაში გაშუქების კვლევა“ ფარგლებში.

ქარტიის მონიტორები 2021 წლის 2 აგვისტოდან (წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებიდან) 30 ოქტომბრის ჩათვლით (არჩევნების მეორე ტურის ჩათვლით) აკვირდებოდნენ 14 სატელევიზიო არხის საუკეთესო საეთერო დროს (პრაიმ ტაიმში) გასულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ტოქშოუებს.

მონიტორინგდებოდა შემდეგი სატელევიზიო არხები: საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი, „რუსთავი 2“, „იმედი“, „TV პირველი“, „მთავარი არხი“, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, „TV25“, „რიონი“, „გურჯაანის ტელევიზია“, „გურია TV“, „TV4“, „თრიალეთი“, „ოდიში“, „მეცხრე არხი“. სამონიტორინგო ტელევიზიებიდან ექვსი მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს, რვა კი - რეგიონებში.

ტელეკომპანიები შეირჩა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: ორი საზოგადოებრივი მაუწყებელი (მათი როლიდან გამომდინარე), ოთხი რეიტინგული ეროვნული მაუწყებელი და ერთი მაუწყებელი თითო რეგიონიდან.

მეთოდოლოგია

ტოქშოუების საარჩევნო მედიამონიტორინგი მოიცავდა მხოლოდ თვისებრივ კომპონენტს. ქარტიის მონიტორები აკვირდებოდნენ, თუ როგორ ჩანდნენ მონიტორინგის სუბიექტები გადაცემებში. ტოქშოუ ფასდებოდა შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: იყო თუ არა გადაცემის თემა რელევანტურად შერჩეული? რამდენად შეესაბამებოდა მოწვეულ სტუმართა კვალიფიკაცია სადისკუსიო თემას? ხომ არ ჩანდა მიკერძოება სტუმრების შერჩევას? როგორ მიმდინარეობდა მსჯელობა? რამდენად კარგად მართავდა დისკუსიას წამყვანი? როგორი იყო მისი კითხვები? იყო თუ არა მომზადებული და აძლევდა თუ არა იგი სტუმრებს ცრუ ინფორმაციის გავრცელების საშუალებას? ხომ არ იყო გამოყენებული გადაცემა სიძულვილის ენის გასავრცელებლად? საერთო ჯამში, იღებდა თუ არა მაყურებელი რაიმე დამატებით ინფორმაციას, რაც მას გაცნობიერებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარებოდა?

მონიტორინგის სუბიექტებად შერჩეულნი იყვნენ პრეზიდენტი, მთავრობა და პოლიტიკური პარტიები.

ძირითადი ტენდენციები

■ წინა წლების მონიტორინგის შედეგების მსგავსად, ეროვნული სამაუწყებლო მედია მკვეთრად პოლარიზებულია. მაუწყებელთა ერთი ნაწილი ხელისუფლების სასარგებლოდ არის მიკერძოებული, მეორე კი - ოპოზიციის. პოლარიზაციის კიდევ უფრო მეტად გაღრმავებას ხელი შეუწყო 5 ივლისის მოვლენებმა, რა დროსაც მედიის 50-ზე მეტი წარმომადგენელი დაშავდა და ყველა დამნაშავე პირი, მათ შორის ძალადობრივი ჯგუფების ორგანიზატორები, პასუხისგებაში ამ დრომდე არ მიცემულან.

■ მუნიციპალურ არჩევნებზე წინასაარჩევნო პერიოდი ოფიციალურად 2 აგვისტოს დაიწყო, რა დროსაც მაუწყებელთა უმრავლესობას არ ჰქონდა სამაუწყებლო სეზონი და, შესაბამისად, არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები გადიოდა ეთერში. ამ მხრივ, ეროვნული მაუწყებლებიდან, გამონაკლისი იყო „მთავარი არხი“ და „TV პირველი“.

აღსანიშნავია, რომ ტოქშოუ 6 სექტემბრამდე არ ჰქონია საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხსა და აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელს. რეგიონული მაუწყებლების უმრავლესობას კი, სექტემბრის თვის შუა რიცხვებამდე არ ჰქონდა ტოქშოუები.

■ წინა წლის მსგავსად, მმართველი პარტიის წარმომადგენლები უარს აცხადებდნენ კრიტიკულად განწყობილ ეროვნულ მაუწყებლებში სტუმრობაზე. ოპოზიციური პარტიები კი, ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი ტელეკომპანია „იმედში“.

■ საანგარიშო პერიოდში, ტელეკომპანია „იმედის“ ნარატივები ემთხვეოდა „ქართული ოცნების“ გზავნილებს. წამყვანები არ ერიდებოდნენ ცინიკურ დამოკიდებულებას ზოგიერთ ოპოზიციურ სუბიექტების მიმართ. „TV პირველსა“ და „მთავარ არხზე“ კი, იკვეთებოდა სუბიექტური დამოკიდებულება ოპოზიციური საარჩევნო სუბიექტების ნაწილის მიმართ. არხები გამონატავდნენ ოპოზიციურ განწყობებს. ასევე, ხშირ შემთხვევაში ზოგიერთი წამყვანი გამონატავდა საკუთარ დამოკიდებულებას კონკრეტული საკითხის ან სუბიექტის მიმართ.

■ მონიტორინგის პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ტრანსფორმაცია. თუ წინა მონიტორინგის პერიოდში მაუწყებელი მეტ-ნაკლებად კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ, წინასაარჩევნო პერიოდში, მაქსიმალურ კომფორტს უქმნიდა მმართველ პარტიას. ხშირად, ტელეკომპანია მხოლოდ ტრიბუნის ფუნქციას ასრულებდა, რომელსაც მმართველი გუნდი საკუთარი გზავნილების ტირაჟირებისთვის და სასურველ თემებზე სასაუბროდ იყენებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრანსფორმაციის პროცესი დაემთხვა არხიდან რამდენიმე ჟურნალისტის წასვლას. მოგვიანებით, ორმა მათგანმა საჯაროდ ისაუბრა, რომ მათი არხიდან წასვლა გამოწვეული იყო სარედაქციო პოლიტიკის ცვლილებით.

■ აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივმა მაუწყებლის პირველმა არხმა და აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაყურებელს შესთავაზა დებატები.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე გავიდა დებატების 2 გადაცემა. თბილისის მერის კანდიდატების დებატებში გადაცემის ფორმატმა არ მისცა შესაძლებლობა მაყურებელს, რომ მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად. აღსანიშნავია ისიც, რომ მერობის კანდიდატები ავრცელებდნენ ჰომოფობიურ და ქსენოფობიურ განცხადებებს, რაზეც წამყვანს არ ჰქონია სათანადო რეაგირება.

აჭარის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მაყურებელს შესთავაზა აჭარის რეგიონის მერობის კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების დებატები. გადაცემაში - „თავისუფალი სივრცე“, რომელშიც მერობის კანდიდატები მონაწილეობდნენ, ჟურნალისტის მხრიდან არ ისმოდა დამაზუსტებელი და, ხშირ შემთხვევაში, კრიტიკული შეკითხვები.

რაც შეეხება აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე ტოქშოუს - „თვითმმართველობის არჩევნები“, დებატებში მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. გადაცემა მაყურებელს ინფორმაციული არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას აძლევდა. წამყვანები სვამდნენ კრიტიკულ და დამაზუსტებელ შეკითხვებს და არ აძლევდნენ რესპონდენტებს საშუალებას, გამოეყენებინათ სიძულვილის ენა.

■ მონიტორინგის პერიოდში გამოიკვეთა რეგიონულ ტელევიზიებში არსებული პრობლემები. იშვიათი გამონაკლისის გარდა, რეგიონული მაუწყებლების საინფორმაციო ბადე არამდგრადი იყო, ეთერში არარეგულარულად და არათანმიმდევრულად გადიოდა ტოქშოუები. „ტვ 4-ისა“ და „მეცხრე არხის“ ეთერში კი, სამონიტორინგო პერიოდში ტოქშოუ არ გასულა.

■ აღსანიშნავია, რომ ცენტრალური ტელევიზიებისგან განსხვავებით, პოლარიზაცია ნაკლებად გამოხატულია რეგიონულ მაუწყებლებში. ზოგიერთ რეგიონულ ტელევიზიაში ოპოზიციისა და ხელისუფლების წარმომადგენლები ერთმანეთს დებატებშიც კი უსხდებოდნენ.

საზოგადოებრივი მაუწყებელი

სამონიტორინგო პერიოდში, საზოგადოებრივ მაუწყებელზე მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემებს: „თავისუფალი ხედა“ და „დებატები“- წამყვანი გიორგი გვიმრაძე, „დღის თემა“ - წამყვანი თამთა სანიკიძე, „აქტუალური შაბათი“ - წამყვანი მაკა ცინცაძე.

თავისუფალი ხედა

გადაცემა „თავისუფალი ხედა“ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებს დისკუსიის ფორმატში განიხილავდა. წინასაარჩევნო და პოსტ საარჩევნო პერიოდში, გადაცემა

უმეტესწილად პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს მასპინძლობდა და გამოირჩეოდა თემების რელევანტური შერჩევით.

მონიტორინგის პროცესში გადაცემა მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა მხარეთა და მოსაზრებების მრავალფეროვნებას, რაც მაყურებელს პოლიტიკური პრეფერენციების განსაზღვრაში უნდა დახმარებოდა. გადაცემის წამყვანი გიორგი გვიმრაძე, ძირითადად, მომზადებული იყო გადაცემისთვის და სვამდა ნათლად ფორმულირებულ კითხვებს.

გადაცემის ფარგლებშივე გამოიკვეთა ისიც, რომ წამყვანი, რომელიც სამართლიანად კრიტიკული იყო ოპოზიციური პარტიების მიმართ იგივე მიდგომას, არ იყენებდა სახელისუფლებო გუნდის მიმართ. მაგალითად, 5 ოქტომბრის გადაცემაში, გიორგი გვიმრაძე “ქართული ოცნების” ერთ-ერთ ლიდერ შალვა პაპუაშვილთან მსგავსი კითხვებით იყო წარმოდგენილი: „რამდენად ხართ მზად, რომ აი, ამ ყველა კითხვას, თუნდაც დაუმტკიცებელ ბრალდებებს და ცილისწამებებს, შესაბამისი პასუხი გასცეთ?“ (41:28). ამ კთხვის შემდეგ, სტუმარს მიეცა საშუალება, რომ თამამად ეწოდებინა ოპოზიციონერთა ბრალდებებისთვის დაუსაბუთებელი. მან თქვა, რომ ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ბრალდება სახელმწიფოსა და პარტიას შორის ზღვარის წაშლაა და ეს მომდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებიდან, რომელშიც თავის მხრივ, ვერაფრით საბუთდება და არ არსებობს კრიტერიუმები, რომელიც დაასაბუთებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას. ამგვარი სუსტი არგუმენტები წამყვანმა უპასუხოდ დატოვა და აღარ ჩაძიებია.

28 სექტემბრის გადაცემაში კი, რომლის სტუმრები პარტია “ხალხისთვის” ლიდერი ანა დოლიძე და პარტია “საქართველოსთვის” ლიდერი გიორგი გახარია იყვნენ, წამყვანმა არაერთხელ მიმართა მათ კრიტიკული, საინტერესო და ლოგიკური კითხვებით.

კერძოდ, (8:15) წამყვანი მიმართავს გიორგი გახარიას და ეუბნება, რომ იგი ოცნების წიაღიდან გამოსული, ისტებლიშმენტური სისტემური კანდიდატია და სავარაუდოდ ნაკლები შანსი უნდა ჰქონდეს არასახელისუფლებო ამომრჩევლების გადმოსაბირებლად. (19:20) წამყვანი აქტიურად ეკამათება გიორგი გახარიას შარლ მიშელის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. (1:20) ამავე გადაცემაში იგი აქტიურად და საქმიანად ეკამათება ანა დოლიძესაც მის ეკონომიკურ შეხედულებებზე, რაც საინტერესო და მისასალმებელია, თუმცა მსგავს მიდგომებს მაყურებელი ვერ ხედავს სახელისუფლებო კანდიდატებთან.

დებატები

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, საქართველოს კანონმდებლობით ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად, 14 და 24 სექტემბერს ჩაატარა დებატების ფორმატის ორი გადაცემა, რომლითაც მაყურებელს საშუალება მისცა, მოესმინა კვალიფიციური და არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისა და მათი საარჩევნო დაპირებებისთვის. 14 სექტემბერს დებატებში პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, 21 სექტემბერს კი თბილისის მერობის კანდიდატები.

გადაცემა, მისი ფორმატიდან გამომდინარე, ვერ გაუმკლავდა რიგ გამოწვევებს. კერძოდ, კვალიფიციური და არაკვალიფიციური კანდიდატების ერთად მოწვევამ გამოიწვია სტუმრების სიმრავლე რაც ქმნიდა ქაოსს გადაცემაში. მაგალითად, 21 სექტემბერის გადაცემაში 16 ადამიანი იყო მოწვეული, რის გამოც, მაყურებელმა, ვერც ძირითად ძალებს შორის დებატები იხილა და ვერც ახალი, მისთვის უცნობი სახეების შესახებ შეძლო ინფორმაციის მიღება.

სტუმრების სიმრავლემ, შექმნა სიტუაცია, რომელშიც ყველა მხარე მისთვის საინტერესო საკითხზე საუბროდა, თუმცა, გადაცემას არ ჰქონდა ერთიანი ფოკუსირებული ხაზი, რომელადაც მაყურებელი გაჰყვებოდა. ამავდროულად, კანდიდატების გამოსვლები იყო ზოგადი და ემოციური და არა საქმიანი და კონკრეტულ პოლიტიკოსებზე მიმართული. საბოლოო ჯამში, შინაარსობრივი დებატები მაყურებელმა ვერ იხილა და, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, უბრალოდ ტექნიკურად შეასრულა დებატების გამართვის ვალდებულება.

ბუნებრივია, მისასლმებელია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მასპინძლობს დებატებს, მათ შორის, არაკვალიფიციურ სუბიექტებს შორის. რა თქმა უნდა, საზოგადოებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, იცნობდეს ყველა კანდიდატს, თუმცა, არჩეული ფორმატი ამ მიზანს ვერ ასრულებდა. მსგავსი გამოწვევა გამოკვეთა წინა მონიტორინგმაც, შესაბამისად, გაურკვეველია, თუ რატომ არ შეეცადა მაუწყებელი, შეეცვალა აღნიშნული მიდგომა.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც ამავე გადაცემაში გამოიკვეთა, იყო სტუმრების გაქდერებული ჰომოფობიური და ქსენოფობიური გამონათქვამები, რომელზეც წამყვანს რეაგირება არ ჰქონია. მაგალითად, ერთ-ერთმა კანდიდატმა გიორგი ქუთათელაძემ, ლგბტ პრაიდს „სოდომისტური ბილწი პრაიდი“ უწოდა ([11:47](#)) იგივე კანდიდატი ამბობს: „ქუთაისის ზევით ტრიალებს თურქეთის დროშა“ ([1:14](#))

თვალშისაცემი იყო წამყვანის პასიურობა, რაც გადაცემის ფორმატიდან გამომდინარეობდა. რეალურად, გადაცემის წამყვანი წარმოდგენილი იყო, როგორც მოდერატორი. მისი ფუნქცია შემოიფარგლებოდა დროის კონტროლით. ფაქტობრივად, არ შედიოდა დისკუსიაში სტუმრებთან და ნაკლებად ჰქონდა შესაძლებლობა, გავლენა მოახდინა გადაცემის მსვლელობაზე.

დებატები მეტ-ნაკლებად სტრუქტურირებული იყო, თუმცა, მთლიანობაში, გადაცემა ძლიან გრძელი და ნაკლებად დინამიური იყო. ასევე, ქაოსი და არაფოკუსირებული დებატები, ართულებდა იმ მიზნის მიღწევას, რაც მაყურებლისთვის ინფორმაციული პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესში დახმარებაა.

დღის თემა

„დღის თემა“ მაყურებელს დღის ან კვირის მნიშვნელოვანი მოვლენების ანალიზს სთავაზობს. სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემაში გასული თემები შეესაბამებოდა მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს. გადაცემის წამყვანი გამოირჩეოდა საქმიანი სტილით და ამ სტილის ინარჩუნებდა გადაცემაში სტუმრად მოსული ოპოზიციის თუ ხელისიფლების წარმომადგენლების მიმართ.

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემაში გამოიკვეთა ფორმალური ბალანსისა და ფორმალური კრიტიკულობის პრობლემა. ფორმალურ ბალანსს წარმოქმნიდა გადაცემაში ოპოზიციური და სახელისუფლებო კანდიდატების მონაწილეობა, თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმეტეს შემთხვევაში, ეს კანდიდატები ცალ-ცალკე ბლოკში იყვნენ წარმოდგენილი.

28 ოქტომბერს, არჩევნებამდე 2 დღით ადრე, გადაცემის ერთადერთი სტუმარი კახა კალაძე იყო. მას მიეცა საშუალება, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერიდან მის მიერ განხორციელებულ პროექტებზე ესაუბრა და ეთქვა, თუ რა ხედვები აქვს მის გუნდს ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით.

საყურადღებოა, რომ ამ გადაცემაში გაჟღერებული კითხვები არაპირდაპირად აგრძელებდა, “ქართული ოცნების” გავრცელებულ ნარატივებს. მაგალითად, კახა კალაძის [“ბოლიშის”](#), იდეას, რომ მან “შესაძლოა, რაღაც დააკლო” და რომ მიმდინარე ამგვარი პროცესი დემოკრატიის ნაწილია. მაგალითად: „...კიდევ ტარდება 19 ქალაქში, 5 თვითმმართველ ქალაქში დაინიშნა მეორე ტური და „ქართულ ოცნებას“ რამდენიმე ქალაქში უსწრებს „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი. როდესაც აანალიზებთ შედეგებს, მე გეკითხებით, როგორც მმართველი პარტიის გენერალურ მდივანს, 20 ქალაქში 65 მუნიციპალიტეტიდან დაინიშნა მეორე ტური, ეს არ არის დამაფიქრებელი ფაქტორი? იქნებ „ქართული ოცნების“ პოლიტიკაშიც არის პრობლემები? [\(28:00\)](#) აღნიშნულ კითხვას, მერობის კანდიდატი პასუხობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დაასრულა ის დრო, როცა პოლიტიკური პარტიები 90% მხარდაჭერას იღებდნენ, რაც იყო ავტოკრატიის მაჩვენებელი.

აღსანიშნავია ისიც, რომ წამყვანის განმარტებით, გადაცემაში მონაწილეობაზე თავად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თბილისის მერობის კანდიდატმა, ნიკა მელიამ თქვა უარი. რეალურად კი, ნიკა მელია მზად იყო გადაცემაში მისულიყო დებატების ფორმატში კახა კალაძესთან - რაზეც ამ უკანასკნელმა განაცხადა უარი.

მონიტორინგისას გამოკვეთილი კიდევ ერთი მიგნება ფორმალური კრიტიკულობაა, რაც გულისხმობს იმას, რომ წამყვანის კითხვები იმგვარდაა ფორმულირებული, რომ გვაფიქრებინებს სტუმრისგან რეალურად მნიშვნელოვანი პასუხების მიღება სურს, სინამდვილეში კითხვების ფორმულირება მის ადრესატს საკუთარი გეგმებისა და სასურველი თემების წინ წამოწევაში ეხმარება.

მაგალითად, 25 ოქტომბრის გადაცემაში, წამყვანი ერთ-ერთ სტუმარს, „ქართული ოცნების“ ლიდერ შალვა პაპუაშვილს ეკითხება: „სააკაშვილის გადაყვანა სამოქალაქო კლინიკაში. რატომ არ შეიძლება, რომ ეს მოთხოვნა იყოს დაკმაყოფილებული?“ [\(23: 40\)](#) მხოლოდ ამ კითხის დასმით და შესაბამისი, კრიტიკული კითხვების დაუსმელობით, შალვა პაპუაშვილს საშუალება მიეცა ესაუბრა იმაზე, რომ მე-18 დაწესებულების კლინიკაში არის მკურნალობისთვის საჭირო გარემო და იმაზე, რომ სააკაშვილს მაღალი სტანდარტებით ეპყრობიან. წამყვანის კიდევ ერთი კითხვა ასე ჟღერდა: „მაშინ სახალხო დამცველმა რატომ ვერ დაინახა იქ შესაბამისი პირობები, იგივე კვლევების და ინფრასტრუქტურის კუთხით?“ [\(26:45\)](#) რამაც საშუალება მისცა „ქართული ოცნების“ წარმომადგენლეს, რომ ესაუბრა, თუ როგორი დეტალური შემოწმება ჩაატარეს ციხეში იუსტიციისა და ჯანდაცვის სამინისტროებმა.

კითხვების თითქოს კრიტიკული ფორმულირებით და სათანადო ჩაკითხვების არქონით, მმართველი გუნდის წარმომადგენელს საშუალება მიეცა კიდევ ერთხელ ესაუბრა იმაზე, თუ როგორ არ არღვევს ხელისუფლება პატიმარი მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის უფლებებს და როგორ შეესაბამება ხელისუფლების ქცევა საერთაშორისო, ადამიანის უფლებების სტანდარტს. ამ ნაწილში მმართველი გუნდის წარმომადგენელს არათუ არ მოუხდა კრიტიკულ კითხვაზე პასუხის გაცემა, არამედ, ხელისუფლებამ ეს საკითხიც - მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანაზე უარი - სტანდარტულ ამბად წარმოაჩინა.

საყურადღებოა 16 სექტემბრის გადაცემაც, რომლის ერთ-ერთი სტუმარი „ქართული ოცნების“ ლიდერი ირაკლი კობახიძე იყო. მან, ბევრ სხვა თემასთან ერთად, გიორგი გახარიაზეც ისაუბრა და გაავრცელა ის გზავნილები, რომელსაც „ქართული ოცნება“ წინასაარჩევნო პერიოდში აქტიურად ავრცელებდა. პირდაპირ ეთერში ირაკლი კობახიძემ ყოფილი პრემიერი „კოკაინშიკად“ [\(14:18\)](#) მოიხსენია. ნაცვლად იმისა, რომ წამყვანს კორექტულობისკენ მოეწოდებინა, მან ირაკლი კობახიძეს სთხოვა, დაეკონკრეტებინა, თუ ვის გულისხმობდა ამ სიტყვების უკან.

აქტუალური თემა

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ხშირად მაუწყებლის ეთერი ტრიბუნასავით ეთმობოდათ მმართველი გუნდის წარმომადგენლებს.

მაგალითად, 16 ოქტომბერს „აქტუალური თემას“ კულტურის მინისტრი თეა წულუკიანი სტუმრობდა. სააკაშვილის პატიმრობის თემის განხილვისას, წამყვანმა ყოფილ იუსტიციის მინისტრს დაუსვა კითხვა, თუ რამდენად შეძლო საქართველოს მთავრობამ, გაეტარებინა ყველა რეფორმა მართმსაჯულების მიმართულებით, რათა მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ პატიმრობასთან დაკავშირებით, კითხვები არ დასმულიყო? მომდევნო 4 წუთის მანძილზე, თეა წულუკიანს მიეცა შესაძლებლობა ესაუბრა იმ რეფორმებსა და კვლევებზე, რომლებიც ხელისუფლებამ ჩაატარა და, თეა წულუკიანის თქმით, ევროკავშირის დადებითი შეფასებაც მიიღო. ამ ოთხი წუთის მანძილზე, მხოლოდ ერთი დამაზუსტებელი კითხვა დასვა წამყვანს, რომელიც აღნიშნავდა, რომ მიუხედავად წულუკიანის დასახელებული წარმატებისა ხშირად ხდება მარლმსაჯულების რეფორმა ხელისუფლების კრიტიკის მიზეზი - რასაც ისევ მოჰყვა თეა წულუკიანის მონოლოგი, რომ სწორედ ამიტომ უნდა გაგრძელდეს რეფორმების კურსი.

ეს მიდგომა ჯდება ფორმალური კრიტიკულობის ტრენდში, რომელიც სხვა გადაცემებშიც გამოიკვეთა. გადაცემაში არ იყო დებატები, თუმცა, სხვადასხვა ბლოკში უმეტესად განსხვავებული მოსაზრებების პოლიტიკური ჯგუფები იყვნენ წარმოდგენილნი.

იმედი

წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორები ტელეკომპანია იმედის ეთერში აკვირდებოდნენ შემდეგ გადაცემებს: „იმედის ლაივი“ და „არჩევნები 2021“.

იმედი ლაივი

„იმედი ლაივის“ გადაცემებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ წამყვანები ეწევიან „ქართული ოცნების“ პიარ კამპანიას და, ამის საპირისპიროდ, ოპოზიციისა და საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის აგრესიულ ანტიპიარს. მათ მიერ გაკეთებული შეფასებები ეფუძნება არა რაიმე ტიპის ანალიზს, არამედ - ირონიას, ცინიზმსა და შეურაცხყოფას.

მაგალითად, 20 ოქტომბრის გადაცემაში, გადაცემის წამყვანი მაგდა ანიკაშვილი ამბობს, რომ [\(3:30\)](#) „ნიკა მელია ნამდვილი ჩემპიონი გახდა უკვე საკუთარი სიტყვის გადათქმის, პირობის უკან წაღების საქმეში, წაუგებელი სერია აქვს“, რაზეც გადაცემის მეორე წამყვანი გიორგი ფუტყარაძე პასუხობს: [\(3:40\)](#) „ზოგი დაპირების მოფიქრებაც კი დაეზარა. ამომრჩეველთა ნაწილს, მაგალითად, ვირტუალურ ფულს დაჰპირდა, ნაწილს კი, შალვა ნათელაშვილის ძველი საარჩევნო დაპირებები მიაწოდა“.

ფაქტობრივად, ყველა გამოშვებაში, სამთავრობო გუნდის სიკეთეების წარმოსაჩენად, გამოყენებულია შემდეგი მეთოდი: ყველა გადაცემაში გვხვდება ერთი ბლოკი, რომელშიც სხვადასხვა სტუმარი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდის უარყოფით მხარეებზე საუბრობს. ხოლო კიდევ ერთი ბლოკი ცნობად სახეებს ეთმობათ და მათი მთავარი დანიშნულებაა, დაარწმუნონ ამომრჩეველი, რომ ხმა „ქართულ ოცნებას“ მისცენ.

გადაცემაში მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ და მასთან დაახლოებულ, აფილირებულ პირებს იწვევენ სტუმრად, არ ისმის კრიტიკული კითხვები. გადაცემის წამყვანები ნაკლებად შედიან სტუმრებთან დისკუსიაში. იმის გამო, რომ ისინი არ სვამენ კრიტიკულ შეკითხვებს, საუბარი ნაკლებად მიმდინარეობს დებატების, დისკუსიის ფორმატში და უფრო თანამოაზრეთა დიალოგის ფორმა აქვს. სტუმრებს თავისუფლად ეძლევათ შესაძლებლობა, გამოიყენონ სატელევიზიო ეთერი საკუთარი საარჩევნო პიარ კამპანიისთვის.

მაგალითად, 27 ოქტომბრის გამოშვებაში „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი კახი კალაძე ჰყვება, თუ როგორ ააყვავა და ააღორძინა თბილისი, გაამწვანა და მოაწყო სკვერები, როგორ დაასაქმა 4 500 ადამიანი დასაქმების პროგრამით და ა.შ. ჟურნალისტების მხრიდან კი, არ ჩანს კრიტიკული კითხვის დასმის მცდელობა. წამყვანებსა და სტუმარს შორის სრული ჰარმონიაა.

გადაცემაში ჟღერდებოდა დაუსაბუთებელი ბრალდებები როგორც წამყვანების, ისე რესპონდენტების მხრიდან. მაგალითად, [22 სექტემბრის](#) გადაცემაში „იმედის“ კორესპონდენტი იმის დასადგენად, ნამდვილად ჩაიტარა თუ არა პარტია „საქართველოსთვის“ თბილისის მერობის კანდიდატმა, გახარია მარკოტესტი, ავსტრიაში გაგზავნა. ჟურნალისტი

ექიმის აუდევნა და მისი და კლინიკის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებით, ცდილობდა მაყურებელი დაერწმუნებინა, რომ გიორგი გახარიას ნარკოლოგიური შემოწმება საერთოდ არ გაუვლია. აღსანიშნავია, რომ გიორგი გახარიას ამ ბრალდებაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა არ მიეცა.

შეიმჩნეოდა ტენდენცია მოსაზრებების ფაქტად წარმოჩენის. მაგალითად, 28 ოქტომბრის გამომშვებაში, სადაც საუბარი იყო ოპოზიციის მხრიდან დესტაბილიზაციის შექმნაზე, წამყვანი ფაქტად წარმოაჩინეს შეფასებას ისე, რომ სრულიად გაუგებარია, რა წყაროს ან არგუმენტებს ეყრდნობა: „ვიცი, რომ ზუგდიდში არის მობილიზება აგრესიული ადამიანების, მათ შორის საუბარი იყო ყოფილ ძალოვნებზე... არის მცდელობა, რომ შეიქმნას დესტაბილიზაციის კერები... თქვენც გაქვთ თუ არა ეს ინფორმაცია და რა შეიძლება ამას დაუპირისპირდეს“ (7:45).

არჩევნები 2021

„არჩევნები 2021“-ზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ აღნიშნული გადაცემაც, „იმედის“ სხვა ტოკ-შოუების მსგავსად, ავლენს მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ოპოზიციის მისამართით. წამყვანი თეა სიჭინავა არ მალავს უარყოფით დამოკიდებულებას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ.

მაგალითად, 7 სექტემბრის გადაცემაში, წამყვანი აცხადებს: (06:03) „მედიას ამ არჩევნებზეც მნიშვნელოვანი როლი აქვს და, რა თქმა უნდა, ტელეკომპანია „იმედსაც“, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის მმართველობის თეორიულ დაბრუნებასთან დაკავშირებითაც კი გაცხადებული პოზიცია აქვს“, (06:32) „ჯერ კიდევ 2018 წელს არხმა გააკეთა განცხადება, რომ მისთვის მიუღებელია „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნება და ეს, არხის ისტორიიდან გამომდინარე, ბუნებრივი და ლოგიკური განცხადებაა“.

სხვა გადაცემის წამყვანებისგან განსხვავებით, თეა სიჭინავას ტონი შედარებით უფრო ნეიტრალურია, თუმცა, ეს ნეიტრალურობა შორსაა დაბალანსებული გაშუქებისგან. გადაცემებში, ძირითადად, „ქართული ოცნების“ წევრები არიან წარმოდგენილი, წამყვანის შეკითხვები კი, უმეტეს შემთხვევაში, არ არის კრიტიკული.

ჟურნალისტი სათანადო ოპონირებას არ უწევდა რესპონდენტებს, არ სვამდა დამაზუსტებელ, ანალიტიკურ კითხვებს და შემოიფარგლებოდა ზოგადი კითხვების დასმით. მაგალითად, 30 ოქტომბრის გადაცემაში, წამყვანი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს ეკითხება (25:59) „უშვებთ ალბათობას, რომ ისეთი შედეგი არ დადგეს, როგორც გინდათ?“; (49:00) „მონაცემები აჩვენებს, რომ თქვენი კანდიდატი ლიდერობს, გაქვთ თუ არა იმედი, რომ ეს შენარჩუნდება?“; (1:31) „უბნებზე ვნებათაღელვის გამო, რა დასკვნა შეიძლება გააკეთონ ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა?“ და ა.შ.

იკვეთებოდა დადებითი დამოკიდებულება მმართველი პარტიის კანდიდატის მიმართ. მაგალითად, 7 სექტემბრის გადაცემაში, კახა კალაძესთან ინტერვიუს დროს, ეკრანზე გადიოდა სლაიდშოუ, სადაც ქალაქის მხოლოდ ის ნაწილები ჩანს, სადაც ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა. წამყვანი არ საუბრობდა და არც აჩვენებდა იმ ნაწილებს, სადაც პრობლემებია და რაც გამოსასწორებელია.

რუსთავი 2

საანგარიშო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „ღამის კურიერი“.

„ღამის კურიერი“

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემა „ღამის კურიერი“, ძირითადად, ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ, მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს ეხებოდა. გადაცემას ჰყავდა ერთი წამყვანი - დავით კაკულია. გადაცემას სტუმრობდნენ როგორც მმართველი გუნდის, ისე ნაწილი ოპოზიციური პარტიის წევრები.

გადაცემაში არ იყო დებატები, ძირითადად, სტუმრები ინტერვიუს ფორმატში იყვნენ ჩაწერილნი. გადაცემაში ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლები ერთმანეთის პირისპირ არ სხდებოდნენ, მათ შორის არ იმართებოდა დისკუსია.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები, ძირითადად, გადაცემის ბოლოს სტუმრობდნენ, რაც მათ საშუალებას აძლევდა, გაეკრიტიკებინათ მათი წინამორბედი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და პასუხი გაეცათ მათ მიმართ გამოთქმულ ბრალდებებზე.

საარჩევნო პერიოდში, გადაცემას სტუმრობდა, როგორც სახელისუფლებო გუნდის მერობის კანდიდატი, ისე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატი. ამ უკანასკნელს მეორე ტურის წინ ეთერი ორჯერ დაეთმო 15 და 22 ოქტომბერს. ასევე, 30 სექტემბრის გადაცემა კახი კალაძის გუნდს და „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს დაეთმო.

საყურადღებოა, რომ გადაცემაში, მმართველ გუნდს, დროის გადანაწილების თვალსაზრისით, უმეტესად უპირატესობა ჰქონდა და ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით, უფრო მეტი საეთერო დრო ეთმობოდა. ასევე, მონიტორინგის პერიოდში რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ გადაცემა გამოიყენებოდა, როგორც პლატფორმა, რომელიც „ქართული ოცნების“ პოპულარიზაციას უწყობდა ხელს წინასაარჩევნოდ.

მაგალითად, 30 სექტემბრის გადაცემის მთავარი თემა იყო, თუ რა დაპირებები აქვს მმართველ გუნდს ინფრასტრუქტურის, გარემოს და სხვა მხრივ თბილისის განვითარებისთვის. წამყვანის ერთ-ერთი კითხვა კი ამგვარად ჟღერდა: „რა ვერ შეასრულეთ, რატომ ვერ შეასრულეთ და თუ ისევ აგირჩევენ თბილისის მერად, რის შესრულებას და როგორ აპირებთ?“ (11:59) - ამ კითხვის შემდეგ კახა კალაძეს მიეცა შესაძლებლობა ესაუბრა იმაზე, რომ პანდემიის გამო, ვერ მოხდა კონკრეტული პროექტების განხორციელება, ვინაიდან პროექტებისთვის გამიზნული თანხები ადამიანების სოციალურ საჭიროებებზე გადამისამართება გახდა საჭირო. აქვე, მან ისაუბრა, რომ ხელახალი არჩევის შემდეგ, კიდევ უფრო მეტი პროექტი განხორციელდება. ხაზგასასმელია ისიც, რომ კალაძემ შესრულებელი დაპირებების პრობლემაზე წარდგენის დროსაც გაამახვილა ყურადღება, შესაბამისად ეს კითხვა მისთვის, არც მოულოდნელი იყო და არც კრიტიკული. პირიქით, იგი შესაძლებლობას აძლევდა, უკეთესად აეხსნა ამომრჩევლისთვის ის მიზეზები, თუ რატომ ვერ მოხდა კონკრეტული დაპირებების შესრულება.

ამავე გადაცემაში, დავით კაკულიამ კანდიდატების წარდგენა კახა კალაძეს მიანდო, რა დროსაც მერმა ისინი საუკეთესო თვისებებით დაახასიათა. როცა არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მმართველ პარტიასა და მათ კანდიდატებს იწვევენ ეთერში, მაყურებლის მოლოდინია, გაიგოს მეტი, იმ პრობლემების მოგვარებისა და პრობლემური თემების გადაჭრის გზებზე, რომელიც ქალაქისა და საკრებულოს წინაშე დგას. ნაცვლად ამისა, მაყურებელმა ეთერში იხილა პიარ კამპანიის ნაწილი, მთავარი აქცენტებით იმაზე, თუ რატომ უნდა აირჩიოს მოსახლეობამ კახი კალაძე და „ქართული ოცნების“ გუნდი. მსგავსი მიდგომები არის ნათელი მაჩვენებელი იმისა, რომ რედაქციის პოლიტიკა „ქართული ოცნების“ მიმართ პოზიტიურად მიკერძოებულია.

გადაცემაში, ასევე, გამოიკვეთა ფორმალური კრიტიკულობის პრობლემა, მდგომარეობა, როცა წამყვანი სვამს მეტ-ნაკლებად კრიტიკულ კითხვას, თუმცა როდესაც რესპონდენტი თავს არიდებს პასუხის გაცემას, იგი აღარ სვამს დამაზუსტებელ კითხვებს, რითაც რესპონდენტებს არიდებს უხერხულ მდგომარეობას.

მაგალითად, 29 ოქტომბრის გადაცემაში, რომლის სტუმარი იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე იყო, წამყვანი კითხულობს: „კითხვა მე-18 სამკურნალო დაწესებულებასთან დაკავშირებით. იყო საუბარი იმაზე, რომ იქ პატიმრები არიან სანიტრები და, შესაბამისად, ექსპრეზიდენტის სიცოცხლე ვერ იქნება უსაფრთხო იმ დაწესებულებაში. ნამდვილად ასეა?“ (13:30). ამ კითხვის პასუხად, რატი ბრეგაძემ ისაუბრა იმაზე, რომ მე-18 დაწესებულება აკეთებს ყველაფერს პატიმარი სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესანარჩუნებლად და რომ ამ ტყუილს ავრცელებს „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც ატყუებს საზოგადოებას. რატი ბრეგაძემ ისე დაასრულა საუბარი რომ პასუხი მაყურებელმა ვერ მიიღო.

ანალოგიურად, დამაზუსტებელი კითხვები არ ისმოდა 29 სექტემბრის გადაცემაში, რომლის ერთ-ერთი სტუმარი „ქართული ოცნების“ ლიდერი ირაკლი კობახიძე იყო. მან შემდეგი განცხადებები გააკეთა:

„ჩვენ გვქონდა უპრეცედენტოდ მშვიდი, მშვიდობიანი წინასაარჩევნო გარემო. არავითარი რაიმე არსებითთან მიხედვით პრობლემაც კი არ დაფიქსირებულა ამ წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში (33:54)“... „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში, „ქართული ოცნება“ გახდა ძლიერი ინსტიტუტი. დღეს, ყველა კვლევის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის ყველაზე მაღალი ნდობით მოსარგებლე საჯარო ინსტიტუტი» (40:05).

მაშინ, როდესაც არსებობს უამრავი კრიტიკა „ქართული ოცნების“ მმართველობის მიმართ, ოპოზიცია საუბრობდა ამომრჩევლების მოსყიდვასა და დაშინებაზე, წამყვანმა, სხვა გადაცემების მსგავსად, ღიად დატოვა ეს გამონათქვამები, არ დასვა დამაზუსტებელი კითხვები და არ შეუქმნა დისკომფორტი რესპონდენტს. ამავე გადაცემაში, ირაკლი კობახიძემ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა, გაეკრიტიკებინა „ქართული ოცნების“ კონკურენტები, უწოდა მათ ღირებულებით სტერილურები.

ამგვარი მიდგომის ფონზე, წამყვანი კრიტიკულობას იჩენს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების მიმართ. მაგალითად, 22 ოქტომბრის გადაცემაში, რომელშიც „ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ანა წითლიძე ზუგდიდში ამომრჩევლებისთვის პირადობების ჩამოთმევასა და დაშინების ფაქტებზე საუბრობდა, წამყვანმა ჰკითხა:

„ამ დარღვევების შესახებ მიაწოდეთ ინფორმაცია საერთაშორისო ორგანიზაციებს? დამკვირვებლებს? რატომ არ უთქვამთ მათ ამის შესახებ თუნდაც პრესკომფერენციაზე?“
(2:56)

აქვე, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრის განცხადებაზე, რომ „ქართულ ოცნებას“ მობილიზებული ჰყავს სუსის დანყოფები ზუგდიდში, წამყვანმა ჰკითხა:

„რაზე დაყრდნობით აცხადებთ ამას, ქალბატონო ანა? გაქვთ კონკრეტული მტკიცებულებები? აი, ამის შესახებ თუ მიაწოდეთ ინფორმაცია საერთაშორისო დამკვირვებლებს?“ - (4:03)
ბუნებრივია, მსგავსი ჩაკითხვა ჟურნალისტური სტანდარტის კარგი ნიმუშია, რომ არ იყოს შერჩევითი და რომ არ ხდებოდეს მსგავსი მიდგომის გამოყენება შერჩევით ოპოზიციური პარტიების წინააღმდეგ.

28 სექტემბრის გადაცემაში კი, დავით კაკულიამ კითხვით მიმართა: გირჩი - მეტი თავისუფლების“ ლიდერ ზურაბ ჯაფარიძეს: „როდესაც გადახვევაზე საუბრობთ, ბატონო ზურა, თქვენ როდესაც პარლამენტს ტოვებდით, თქვით შემდეგი რამ: „მე ვტოვებ პარლამენტს, პარლამენტში ყოფნა იყო 19 აპრილის შეთანხმებაზე ხელმოწერით ჩემს მიერ აღებული ვალდებულება, არ არსებობს შეთანხმება, არ არსებობს ვალდებულება“. თუ თქვენს შემთხვევაში არ არსებობს შეთანხმება, არ არსებობს ვალდებულება, რატომ უნდა არსებობდეს მაშინ მმართველი გუნდის მიმართ?“ (43:56) - გაურკვეველია, თუ რა მიზანს ემსახურება ეს კითხვა, გარდა იმისა, რომ მაყურებელს ანახებს, რომ ზურა ჯაფარიძეც არ ასრულებს მის წილ ვალდებულებას.

საერთო ჯამში, 2020 წლის წინასაარჩევნო სამონიტორინგო პერიოდთან შედარებით, გადაცემაში შეინიშნება მნიშვნელოვანი სარედაქციო ცვლილებები. თუკი წინა საარჩევნო მონიტორინგის დროს გადაცემა ხასიათდებოდა, როგორც დაბალანსებული და თანაბრად კრიტიკული, როგორც ოპოზიციური ასევე სახელისუფლებო ჯგუფის მიმართ, ამ მონიტორინგში ეს მიდგომა შეცვლილია, მეტიც, ჩანს გამოკვეთილი სარედაქციო მიკერძოება სახელისუფლებო ჯგუფის მიმართ.

აღნიშნული ცვლილება აისახა დროის და სტუმრების განაწილებაშიც, სტუმრების რიგითობაში, მათთვის დასმული კითხვების ფორმულირებასა და შინაარსში. გადაცემა ცდილობს, შენიღბოს ეს ცვლილებები და იმგვარად დააფორმულიროს კითხვები, რომ ერთი შეხედვით, მთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს, კრიტიკული დამოკიდებულება თანაბრად ნაწილდება ყველა სტუმრაზე. ანალიზი კი, საპირისპირო ტენდენციებს აჩვენებს.

TV პირველი

მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემებს: „რეაქცია“, „პოლიტიკური კვირა“, „პოლიტიკური ამბები“ და „საჯარო პოლიტიკა“.

რეაქცია

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემისთვის შერჩეული თემები აქტუალური იყო, სტუმრები კი, ძირითადად - რელევანტური. გადაცემის წამყვანი, ინგა გრიგოლია, უმეტესად, მომზადებული იყო გადაცემისთვის და ჩანდა, რომ საკითხში ერკვეოდა.

„რეაქციას“ ოპოზიციის წევრები სტუმრობდნენ, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები კი, წინა მონიტორინგის პერიოდის მსგავსად, გადაცემაში მონაწილეობაზე უარს აცხადებდნენ.

გადაცემაში ისმოდა ბრალდებები ხელისუფლების მისამართით და ვინაიდან ისინი არ მონაწილეობდნენ გადაცემებში, მათი პოზიცია არ ჟღერდებოდა. ამასთან, არც გადაცემის წამყვანი უწევდა ოპონირებას და არც განმარტავდა, რომ მხარე არ ესწრებოდა გადაცემას და ვერ გასცემდა ბრალდებაზე პასუხს. ზოგჯერ გადაცემაში ხელისუფლების პოზიცია გამომხატული იყო მმართველი პარტიის წარმომადგენლების სინქრონებით.

ჟურნალისტი მიკერძოებული იყო ოპოზიციური პარტიების სასარგებლოდ და მკვეთრად კრიტიკული - ხელისუფლების მიმართ. მაგალითად, 9 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა თქვა: „ჩვენ რეალობას უნდა შევხედოთ თვალელებში. ამ ქვეყანაში ძალადობა წახალისებული კი არ არის, პირდაპირ მითითებაა, სადაც ნახავთ, ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს, შეგიძლიათ მოკლათ ცემაში“ (20:42) ამავე გადაცემაში ის აცხადებს: „გულწრფელად გეტყვით, წინა არჩევნებზეც მეგონა, მე, როგორც ამომრჩეველი, წავედი და ხმა მივეცი, ვამბობ პირდაპირ - „ოცნების“ დასამარცხებლად.“ (1:08:37)

ზოგჯერ ის ცდილობდა, ეჩვენებინა კრიტიკულობა ოპოზიციის წარმომადგენლებთან, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ჰქონდა მცდელობა, რომ ოპოზიცია პოზიტიურ ჟრილში ეჩვენებინა მაყურებლისთვის და მათთვის დაეთმო ტრიბუნა.

საჯარო პოლიტიკა

მონიტორინგის პერიოდში, ტოქშოუს თემები იყო აქტუალური და საინტერესო. გადაცემის სტუმრები კი, თემის შესაბამისად იყვნენ მიწვეულნი.

გადაცემის წამყვანი - ეკა მიშველაძე აფიქსირებდა თავის განწყობებს მოქმედი ხელისუფლებისადმი, გამომხატავდა ნეგატიურ დამოკიდებულებას და ზოგჯერ გვევლინებოდა მხარედ.

მაგალითად, 27 სექტემბრის გადაცემაში, წამყვანი ამბობს, რომ „რამოდენიმე დღეში გაირკვევა საით წავა ქვეყანა, რა გზას აირჩევენ ამომრჩეველები. პოლიტიკური პარტიები

ბოლო შეხვედრებს მართავენ, საკუთარ უპირატესობაში ხალხის დარწმუნებას ცდილობენ და მოქალაქეებს არჩევნებზე მისვლისკენ მოუწოდებენ, რადგან სწორედ ამომრჩევლის რაოდენობაზეა დამოკიდებული და აქტიურობაზე, შეძლებს თუ არა ამჯერად „ქართული ოცნება“ საბოლოო შედეგების გაყალბებას“. (01:18)

წამყვანი მტკიცებით ფორმატში საუბრობს არჩევნების გაყალბებაზე, ის სრულად იზიარებს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მიდგომას ამ საკითხთან დაკავშირებით. წამყვანი გამოსატავდა სიმპათიას კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მისამართით და ამას ღიად აცხადებდა. მაგალითად, 4 ოქტომბრის გადაცემაში, ეკა მიშველაძე ასე მიმართავს პარტია „კანონი და სამართლის“ ლიდერ თაკო ჩარკვიანს: „მე ნამდვილად ვთვლი, რომ შენ ხარ ამ ქვეყნის პატრიოტი ადამიანი და აუცილებლად საჭიროა ის ბრძოლა, რომელიც წამოწყებული გაქვს“. (39:41)

ძირითადად, სტუმარი და წამყვანი გვევლინებოდნენ თანამოაზრეებად. წამყვანი არ ცდილობდა ოპონირება გაეწია რესპონდენტებისთვის.

პოლიტიკური კვირა

გადაცემაში წარმოდგენილი თემები იყო აქტუალური და სტუმრებიც რელევანტურად იყვნენ შერჩეულნი. ამ გადაცემაშიც, ისევე როგორც „ტვ პირველის“ სხვა გადაცემებში, არ იყო წარმოდგენილი ხელისუფლება, რაც კონკრეტულ ტელევიზიებთან მმართველი პარტიის ბოიკოტის რეჟიმში ყოფნით აიხსნება.

წამყვანები - ეკა მიშველაძე და ალექსი პეტრიაშვილი, კრიტიკულები იყვნენ ხელისუფლების მიმართ. მათი საუბარიც სტუმრებთან ხელისუფლების კრიტიკითა და ოპოზიციის სამოქმედო გეგმების გაცნობით შემოიფარგლებოდა. წამყვანები ცდილობენ პოზიტიურად წარმოეჩინათ ოპოზიციის ქმედებები თუ განცხადებები. მაგალითად, 24 ოქტომბრის გადაცემაში, ჟურნალისტი ამბობს, რომ ძალიან კარგად გამოიყურება ეს ოპოზიცია, ძალიან „საინტერესო, მართლაც, რაღაცა All Star-ი დავარქვით ჩვენ ჟურნალისტებმა, მართლაც, ვარსკვლავების კრებულია. მათი ურთიერთობაც მომწონს. მე ყოველდღიურად ვუსმენ, წარდგენის დღესაც ვუსმენდი და მათი მიდგომაც საქმისადმი ძალიან საინტერესოა“ (6:10).

როგორც წამყვანების, ასევე რესპონდენტების მხრიდან ისმოდა ბრალდებები ხელისუფლების მისამართით, რაზეც პასუხს ვერ გასცემდა მმართველი პარტია და არც წამყვანები ცდილობდნენ ოპონირების გაწევას და მითითებას, რომ დაუსაბუთებელი ბრალდებების გავრცელებებისგან თავი შეეკავებინათ. მაგალითად, 12 სექტემბრის გადაცემაში, წამყვანი ამბობს: „ძალიან ვიწრო ჯგუფი, რომელიც მოკალათებულია ხელისუფლებაში ყოველდღიურად მდიდრდება ჩვენს ხარჯზე, ჩვენი გადასახადების მოპარვის გზით. იცით, რატომ ვართ ღარიბები? იმიტომ, რომ რაც თქვენ უნდა მოგახმარონ ბიუჯეტიდან, რომელიც თქვენს მიერ გადახდილი გადასახადებით ივსება, იმ თანხას ეს ე.წ. პრემიერი ღარიბაშვილი საკუთარ მეგობრებს და ახლობლებს ახმარს.“ (6:00)

„პოლიტიკური კვირის“ შესავალ ნაწილში წამყვანები ღიად აფიქსირებდნენ არა მხოლოდ საკუთარ სუბიექტურ შეფასებებს მიმდინარე პროცესებზე, არამედ მკვეთრ მიუღებლობას მმართველი პოლიტიკური გუნდის მიმართ და გამოსხატავდნენ ოპოზიციის მხარდაჭერას.

პოლიტიკური ამბები

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემისთვის შერჩეული თემები აქტუალური იყო, სტუმრები კი, ძირითადად - რელიევანტური. ისევე როგორც „ტვ პირველის“ სხვა გადაცემებში, ამ შემთხვევაშიც ჩანდა წამყვანების დამოკიდებულება პოლიტიკური სუბიექტების მისამართით.

მაგალითად, მეორე ტურის წინ, დასკვნით გადაცემაში, რომელიც მთლიანად დაეთმო კოალიციურ ოპოზიციას, ჟურნალისტებმა მხარი დაუჭირეს ოპოზიციას და აცხადებდნენ, რომ ოპოზიციის გამარჯვება ქვეყანას მოუტანდა გამარჯვებას.

მხოლოდ წამყვანმა დიანა ტრაპაიძემ შეიკავა თავი თავისი პოზიციის საჯაროდ დაფიქსირებისგან და განაცხადა, რომ არ იტყოდა, თუ ვის უჭერს არჩევნებში მხარს, რადგან ყველა პარტიის ამომრჩევლისთვის, როგორც ჟურნალისტი, იყოს სანდო. (19:10). თუმცა, გადაცემის მეორე ნაწილში განაცხადა, რომ ერთადერთი პოლიტიკოსი, რომლის მიმართ პატივისცემის დაფიქსირებისგან თავი არასდროს შეუკავებია, არის ზურაბ გირჩი ჯაფარიძე (1:23:50).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე გადაცემაში ინგა გრიგოლიამ რამდენჯერმე აღნიშნა, რომ მხარს უჭერს ოპოზიციას, მაგრამ გამარჯვების შემთხვევაში, ყველაზე მეტად კრიტიკული იქნება მათი საქმიანობის მიმართ.

მთავარი არხი

„მთავარ არხზე“ საანგარიშო პერიოდში მონიტორინგდებოდა გადაცემები - „მთავარი აქცენტები“ და „მთავარი დებატები თამარ ბაღაშვილთან ერთად“.

მთავარი აქცენტები

გადაცემა ცდილობდა მოწვეულ სტუმრებთან ერთად გაეანალიზებინა დღის ან კვირის აქტუალური თემა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში პოლიტიკური იყო. გადაცემა წამყვანის მონოლოგით იწყებოდა, სადაც პერსონალურ შეფასებებთან ერთად, ისმოდა მიმართვები სხვადასხვა პოლიტიკური აქტორებისადმი, რასაც საავტორო გადაცემის ფორმატი ითვალისწინებს კიდევ. თუმცა, მიუხედავად საავტორო გადაცემის ფორმატისა, მნიშვნელოვანია, არ დაირღვეს მიუკერძოებლობა.

„მთავარ აქცენტებში“ კი ეს პრინციპი უგულებელყოფილი იყო თითქმის ყველა გამოშვებაში. წამყვანის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ხშირად შეიცავდა დაუსაბუთებელ ბრალდებებს, შეურაცხყოფელ გამონათქვამებს, ოპოზიციისადმი მიკერძოებას.

წინა მონიტორინგის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც მმართველი პარტიის წარმომადგენლები არ მონაწილეობდნენ გადაცემაში მათი არხისადმი ბოიკოტის გათვალისწინებით, თუმცა ზოგჯერ მათი პოზიცია სინქრონის სახით იყო წარმოდგენილი.

26 სექტემბრის გადაცემაში როგორც წამყვანების, ისე სტუმრების მხრიდან, ისმოდა ბრალდებები ხელისუფლების მისამართით. მაგალითად, გადაცემაში ნიკა გვარამია აცხადებს, „კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ამ ქალაქში კორუფციის მამამთავარი არის კახა კალაძე. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, რომ ამ ზიზღის პლაკატების გამკვრელი, თითქოს გამიჯნული, არის კახი კალაძე. ეს მისი ინიციატივაა და მისი დავალებაა“. ([24:27](#))

წინა მონიტორინგის მსგავსად, აშკარაა დადებითი განწყობა ოპოზიციის, განსაკუთრებით კი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის მიმართ. არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, ძირითადად საუბარი იყო მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლასა და პატიმრობაზე. წამყვანი სტუმრებთან ერთად ახდენდა მესამე პრეზიდენტის ჰეროიზაციას. მაგალითად, 3 ოქტომბრის გადაცემაში ნიკა გვარამია მიხეილ სააკაშვილზე ამბობს, რომ „ეს არის ადამიანი, რომელიც ამ ქვეყნის დამფუძნებელი მამაა, თანამედროვე საქართველოს ვგულისხმობ. თავისუფლება ამ ქვეყანს მოუტანა ზვიად გამსახურდიამ და შემდგარობა ამ ქვეყანას მოუტანა მიხეილ სააკაშვილმა. რომ არ იმსახურებს ამ მასშტაბის და ამ დამსახურებების ადამიანი ასეთ მოპყრობას და უკანონო განაჩენებს, ეს მე მგონი თუ ადამიანს აქვს სუბსტანცია, სახელად ნამუსი, მე მგონი სავსებით ცხადი უნდა იყოს.“ ([1:23:39](#))

26 სექტემბრის გადაცემაში კი, წამყვანმა პირდაპირ ეთერში დააფიქსირა საკუთარი არჩევანი, თუ ვის აძლევდა ხმას: „მართალია მე არ ვარ 18-დან 25 წლამდე, მაგრამ საერთოდ არ გამოვრიცხავ, რომ თქვენი ნომერი შემოვხაზო პარტიულ ლისტში. 5-იანი და ჩემი არჩევანი ნიკა მელიას შესახებ ისედაც ყველამ იცის და მაჟორიტარი ასევე მყავს არჩეული. ჩემი მეგობარი იყრის ვაკეში კენჭს, ბათუ ქუთელია. ეს ჩემი დამოკიდებულებაა და მე შემიძლია ეს გავამჟღავნო“. ([1:38:30](#))

მთავარი დებატები თამარ ბაღაშვილთან ერთად

სამონიტორინგო პერიოდში, გადაცემისთვის შერჩეული თემები აქტუალური იყო, სტუმრები კი, ძირითადად - რელიევანტური. ისევე როგორც ტელეკომპანია „მთავარის“ სხვა გადაცემებში, ამ შემთხვევაშიც ჩანდა წამყვანების დამოკიდებულება პოლიტიკური სუბიექტების მისამართით.

წამყვანი დადებითად მიკერძოებულია ოპოზიციის მიმართ და კრიტიკულია მმართველი პარტიის მისამართით. არჩევნების შემდგომ სამონიტორინგო პერიოდში გადაცემაში დიდი დრო დაეთმო მიხეილ სააკაშვილის ციხეში ყოფნას და ის იყო გადაცემაში განხილვის

ერთადერთი თემა. ტოქშოუში პირდაპირ იყო მითითებული, რომ მიხეილ სააკაშვილი არის პოლიტიკური ტყვე.

გადაცემაში რესპონდენტების მხრიდან ჟღერდებოდა არაკორექტული და დისკრიმინაციული ფრაზები, რაზეც წამყვანს არ ჰქონდა რეაგირება. მაგალითად, 4 ოქტომბრის გადაცემაში რესპონდენტი ამბობს: „თეა წულუკიანი, ადამიანი, რომელიც არის ავად. რომელიც არ არის ჯანსაღი. პირდაპირი გუბნებით. მე არ მინდა ფსიქიკურ დაავადებებზე ვილაპარაკოთ კნინობითში, მაგრამ ეს არის მანიაკალურად შერყეული ადამიანი“ ([24:04](#)).

წამყვანი არ იყო ნეიტრალური საკითხების შეფასებისას, არ სვამდა კრიტიკულ კითხვებს და, ძირითადად, მოწვეულ სტუმრებთან დიალოგის რეჟიმში იმყოფებოდა. არ მალავდა და ღიად აფიქსირებდა საკუთარ მხარდაჭერას პოლიტიკური ფიგურის - მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

აჭარის ტელევიზია

საანგარიშო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ აჭარის ტელევიზიის შემდეგ გადაცემებს: „თვითმმართველობის არჩევნები 2021“, „თავისუფალი სივრცე“, „სათქმელი“, „მთავარი აჭარაში“.

თვითმმართველობის არჩევნები 2021

გადაცემა სრულად ეძღვნებოდა 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებს და მონაწილეობის შესაძლებლობა ჰქონდა ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს. გადაცემაში იწვევდნენ აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს, და, ასევე, პარტიების პროპორციული სიების პირველ ნომრებს. გადაცემის დასაწყისში წამყვანები აცხადებდნენ თითოეულ საკრებულოში რამდენი ოლქია, თითოეულში რომელ პარტიას ჰყავს წარდგენილი კანდიდატი და მათ ვინაობას. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პარტიის წარმომადგენელი არ მონაწილეობდა გადაცემაში, ამის შესახებ დასაწყისში აწვდიდნენ მაყურებელს ინფორმაციას. თითოეულ კანდიდატს კითხვაზე საპასუხოდ ჰქონდა 2 წუთი, ასევე, თუ საჭირო იყო დამაზუსტებელი შეკითხვის დასმა, ამისთვის დამატებით - 1 წუთი.

გადაცემის დასაწყისში, იმის მიხედვით, თუ რომელი საკრებულოს კანდიდატები იყვნენ მიწვეულნი, ეთერში გადიოდა იმ კონკრეტულ რაიონში მაცხოვრებლების გამოკითხვის ვიდეო, თუ რა პრობლემებია ამ ტერიტორიაზე, რას ელოდებიან კანდიდატებისგან და ა.შ. შემდეგ კი, წამყვანების კითხვების ნაწილი სწორედ იმ რაიონის პრობლემების მოგვარების გზებს ეხებოდა. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი ხელისუფლების წარმომადგენელს მიემართებოდა კითხვა, წამყვანები იყვნენ კრიტიკულები და ყოველთვის აზუსტებდნენ, თუ რატომ ვერ მოგვარდა კონკრეტული პრობლემები მათი ხელისუფლების პირობებში. ეთერში

გაქვრებული კითხვები მოიცავდა სრულიად აჭარის რეგიონში არსებულ პრობლემებს: წყლის მიწოდება, გზების რეკონსტრუქცია, მიწების რეგისტრაცია, ქაოტური მშენებლობები, სოფლის მეურნეობა, ნეპოტიზმი, არამიზნობრივი ხარჯები და ა.შ.

წამყვანები ავლენდნენ თემის ცოდნის მაღალ დონეს, იყვნენ მომზადებულები, მიუკერძოებლები. თუ რომელიმე რესპონდენტი ცდილობდა კითხვაზე თავის არიდებას, წამყვანი ახსენებდა საკითხს, უსვამდა დამაზუსტებელ კითხვებს.

გადაცემაში წამყვანების მხრიდან არ დაფიქსირებულა არაეთიკური ქცევის შემთხვევა ან დისკრიმინაცია. პირიქით, 7 სექტემბრის [გადაცემაში](#) სტუმრის მხრიდან გაქვრდა ქსენოფობიური განცხადება, რაზეც წამყვანმა საუბრის ბოლოს უთხრა, რომ მსგავსი დისკრიმინაციული შინაარსის განცხადების გავრცელება დაუშვებელია. გადაცემის სტუმარმა კი, ამ სიტყვებისთვის ბოდიშიც კი მოიხადა.

ჟურნალისტები ცდილობდნენ ოპონირების გაწევას და არ აძლევდნენ საშუალებას რესპონდენტებს, რომ გაევრცელებინათ დაუსაბუთებელი ბრალდებები ოპონენტების მიმართ. მაგალითად, 7 სექტემბრის გადაცემაში, ერთ-ერთმა რესპონდენტმა კორუფციაში დაადანაშაულა ხელისუფლება, წამყვანებმა კი მიუთითეს, რომ მსგავსი ბრალდებები მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, თუ ამის შესაბამისი არგუმენტები ან მტკიცებულებები არსებობს.

მაყურებელს ჰქონდა შესაძლებლობა, “თვითმმართველობის არჩევნები 2021-ის” ყურების შემდეგ, მიეღო ინფორმაცია და გაეკეთებინა ინფორმირებული არჩევანი.

თავისუფალი სივრცე

არჩევნების პირველ ტურამდე პერიოდში გადაცემაში მიწვეული იყვნენ მერობის კანდიდატები.

გადაცემის წამყვან ვახო ხუზშიაშვილს არ ჰქონდა კრიტიკული კითხვები მმართველი პარტიის მერობის კანდიდატის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი იქამდეც მუშაობდა თანამდებობაზე, არ ეძიებოდა და არ უსვამდა დამაზუსტებელ კითხვებს. მაგალითად, როგორ შეასრულებდა დაპირებებს ახლა, თუ იქამდე ვერ აგვარებდა არსებულ პრობლემას.

22 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა „ქართული ოცნების“ ქობულეთის მერობის კანდიდატს ჰკითხა: „გუშინდელმა ნალექმა აჩვენა, რომ პრობლემები შეუქმნა არა მარტო ბათუმს, არამედ იყო შემთხვევები ქობულეთშიც. რა შეგიძლიათ თქვათ. შესაძლებელია თუ არა ასეთი სტიქიისგან მაქსიმალურად თავის არიდება ისე, რომ არ იყოს ზიანი. არის თუ არა თქვენს პროგრამაში რამე ისეთი, რამაც შეიძლება შეაჩეროს ეს პროცესები? ... ანუ ეს პირდაპირ გაქვთ პროგრამაში ჩადებული?“ ([2:50](#)) წამყვანი არ ჩაეძია, მიუხედავად იმისა, რომ მისი რესპონდენტი იყო მოქმედი მერის პირველი მოადგილე და რელევანტურია მის მიმართ კითხვები, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ დრომდე აღნიშნული პრობლემის მოგვარება.

მმართველი პარტიის წარმომადგენლებისგან განსხვავებით, პოლიტიკური ხასიათის კითხვები ჰქონდა წამყვანს ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებთან. ოპოზიციური

პარტიის მერობის კანდიდატებთან აქტიურად განიხილავდა, დამარცხების შემთხვევაში, აღიარებენ თუ არა ისინი დამარცხებას. მაგალითად, 20 სექტემბრის გადაცემაში ჟურნალისტი აქცენტს „ქართული ოცნების“ შესაძლო გამარჯვებაზე აკეთებს და ოპოზიციური პარტიის რესპონდენტს ამ კონტექსტში უმეორებს გამუდმებით კითხვებს, რაც არარელევანტურია არსებული პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინების ფონზე (იგულისხმება მარლ მიშელის ხელშეკრულებიდან „ქართული ოცნების“ გასვლა, 43% იან ბარიერზე უარის თქმა).

აღსანიშნავია, რომ წამყვანი განსხვავებული ტონალობით, სხვადასხვაგვარად სხვამდა ერთი და იგივე სახის კითხვას ოპოზიციური და მმართველი გუნდის მერობის კანდიდატებთან. მაგალითად, 6 სექტემბრის გადაცემაში კითხვა ეხებოდა ველობილიკებს. ვახო ხუზშიაშვილმა მმართველი გუნდის მერობის კანდიდატს ამ კითხვით მიმართა: (26:42) „გაუმართავია ბათუმში ველობილიკები. რა ხდება? რა იგეგმება, თუ გახდით მერი?“ იგივე თემაზე, წამყვანმა „ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატს კითხვა შემდეგნაირად დაუსვა: (52:57) „ეს ველობილიკები. მე არ გეგონოთ, რომ თქვენს 9 წელზე ვსაუბრობ, მაგრამ, ვინაიდან თქვენს დროს მოხდა ამ პროექტების გაკეთება, ცუდი არ არის ეს ველობილიკი, მაგრამ, როდესაც არის გაუმართავი, როგორ უნდა იყოს ზოგადად გამართული ეს ველობილიკები და როგორ უნდა იყოს წრე მთლიანად შეკრული? რადაცა რომ აკლიათ ამ ველობილიკებს, არ მეთანხმებით ახლა თქვენ?“

6 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა რესპონდენტს მისცა შესაძლებლობა, დაუსაბუთებელი მოსაზრებები გაევრცელებინა: „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი არჩილ ჩიქოვანი(7:38): „პოლიტიკურ ველზე ჩვენ ვხედავთ ბოლო პერიოდში, ბოლო წლების განმავლობაში, ადამიანებს, რომლებიც თავს ოპოზიციონერებად თვლიან და, რეალურად, დაკავებულები არიან იმ პრინციპების დალატით, რა პრინციპებითაც მოდიან პოლიტიკაში, დაკავებული არიან ადამიანების ქუჩაში გაყვანით, დაკავებული არიან ხელშეშლით ამა თუ იმ საქმიანობაში, რასაც ლეგიტიმურად უნდა ახორციელებდეს სახელმწიფო და ანტისახელმწიფოებრივი მოწოდებებით...“. გადაცემაში მოპასუხე მხარე არ იყო წარმოდგენილი და წამყვანსაც არ უცდია ოპონირების გაწევა.

განსხვავებული მიდგომა მმართველი პარტიისა და ოპოზიციის მიმართ გამოიკვეთა 29 სექტემბრის გადაცემაშიც, აჭარის მთავრობის ხელმძღვანელთან ინტერვიუ ჩაწერილი იყო მისსავე კაბინეტში გადაცემამდე რამდენიმე საათით ადრე. განსხვავებით სხვა სტუმრებისგან, რომლებმაც ლაივ რეჟიმში ისაუბრეს გადაცემაში. ამასთან, წამყვანი ბევრად მოკრძალებული და თავშეკავებული იყო აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან, თორნიკე რიჟვაძესთან საუბრისას, ვიდრე, მაგალითად, ოპოზიციური პარტია “კანონი და სამართლის” ლიდერ თაკო ჩარკვიანთან საუბრისას. თორნიკე რიჟვაძესთან საუბრისას იგრძნობოდა, რომ წამყვანს ჰქონდა წინასწარ მომზადებული კითხვები, რომლებსაც არ გასცდენია და რომლებიც არანაირ დისკომფორტს არ უქმნიდა სტუმარს.

სათქმელი

გადაცემა „სათქმელი“ ეთერში არჩევნების პირველი ტურის შემდგომ, გადაცემა „თვით-მმართველობის არჩევნები 2021-ის“ დასრულების შემდგომ გადიოდა. სამონიტორინგო პერიოდში, აღნიშნული გადაცემა სულ 4 ჯერ გავიდა, საიდანაც ორში ჩვენი მონიტორინგის

სუბიექტები არ ყოფილან წარმოდგენილი. შესაბამისად, მხოლოდ 2 გადაცემაზე დაკვირვებით, ტენდენციების გამოკვეთა რთულია.

გადაცემის ფორმატი ითვალისწინებდა წამყვანის კითხვებს რესპოდენტებთან ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებით. რესპოდენტს კითხვაზე საპასუხოდ ჰქონდა ორი წუთი და, ასევე, 1 წუთი - დამაზუსტებელი კითხვის არსებობის შემთხვევაში. თუმცა, გადაცემაში გაუგებარი იყო წამზომის საჭიროება, მაშინ როდესაც მხოლოდ ერთი სტუმარი იყო წარმოდგენილი. აღსანიშნავია, რომ წამყვანი ირინა ყურუა განმარტავდა, რომ სხვა მოწვეულმა პირებმა არ ისურვეს ან ვერ მოახერხეს გადაცემაში მონაწილეობა.

გადაცემის წამყვანი მომზადებული იყო და სვამდა მნიშვნელოვან კითხვებს ადგილობრივი საკითხების შესახებ და ეს შეკითხვები გამყარებული იყო ფაქტებით. მაგალითად, [28 ოქტომბრის](#) გადაცემაში, ნეპოტიზმზე საუბრისას, წამყვანმა დაასახელა კონკრეტული სადავო საჯარო კონკურსის შედეგები.

მთავარი აჭარაში

„მთავარი აჭარაში“ არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, გადაცემა „თვითმმართველობის არჩევნები 2021-ის“ დასრულების შემდგომ პერიოდში გადიოდა ეთერში. სამონიტორინგო პერიოდში, აღნიშნული გადაცემაც სულ ოთხჯერ გავიდა, საიდანაც ორში მონიტორინგის სუბიექტები არ ყოფილან წარმოდგენილი. შესაბამისად, მხოლოდ 2 გადაცემით გადაცემის ტენდენციების გამოკვეთა ამ შემთხვევაშიც რთულია.

გადაცემის წამყვანი ლაშა ზარგინავა მომზადებული და მიუკერძოებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას სტუმრად ჰყავდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელი, ის არც ერთი მათგანის მიმართ არ ამჟღავნებდა დადებით თუ უარყოფით განწყობებს. ის ცდილობდა დისკუსიის მართვას. მაგალითად, [19 ოქტომბრის](#) გადაცემაში, მან რამდენჯერმე მოუწოდა სტუმრებს ესაუბრათ კონკრეტულად და ცდილობდა შეეჩერებინა სტუმრები, როდესაც ისინი ზედმეტად ვრცლად საუბრობდნენ და სცდებოდნენ დასმულ შეკითხვას.

TV 25

საანგარიშო პერიოდში, მონიტორები TV25-ზე აკვირდებოდნენ გადაცემა „პოზიციას“.

პოზიცია

TV 25-ზე გადაცემა „პოზიცია“ კვირაში ორჯერ გადიოდა და სრულად ეთმობოდა არჩევნებს. აღსანიშნავია, რომ სხვა რეგიონული მაუწყებლებისგან განსხვავებით, TV25-ის ეთერში გადაცემა ბადეში ყოველთვის იყო წარმოდგენილი.

გადაცემაში არჩევნების პირველ ტურამდე იწვევდნენ მერობის კანდიდატებს. ერთი თვის განმავლობაში აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური სპექტრიდან, რომელთა პოლიტიკური პარტიები გამოკითხვით ყველაზე მაღალი რეიტინგით გამოირჩევიან და პირველ სამ ადგილს იკავებენ. ეს პარტიებია „ქართული ოცნება“, „ნაციონალური მოძრაობა“ და „საქართველოსთვის“.

არჩევნების პირველი ტურის შემდგომ კი, გადაცემა ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ საკითხებს და სოციალურ პრობლემებს ეხებოდა. წამყვანი ხშირად აღნიშნავდა, რომ მმართველი გუნდი მათთან ბოიკოტის რეჟიმშია და გადაცემის პირდაპირ ეთერში სტუმრობაზე უარს ამბობს. ამის გამო, მაყურებელი ხშირად ვერ იღებდა დაბალანსებულ ინფორმაციას. ზოგჯერ ჟურნალისტი არ განმარტავდა, რომ რომელიმე უწყება მიიწვია, მაგრამ უარი მიიღო, რაც, შეიძლება, აღქმულიყო ისე, რომ გადაცემაში მხარე არ მოუწვევია.

გადაცემაში, ძირითადად, სტუმრები ინტერვიუს ფორმატში იყვნენ ჩაწერილი. წამყვანის შეკითხვები, ძირითადად, სტუმრებს აძლევდა იმის შესაძლებლობას, ესაუბრათ საკუთარ პოზიციებზე და თავისუფლად გამოეხატათ აზრი. წამყვანი სვამდა კრიტიკულ შეკითხვებსაც. მაგალითად, 19 ოქტომბრის [გადაცემაში](#), სადაც „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ 9 წლიან მმართველობასთან დაკავშირებით იყო საუბარი, წამყვანმა ორივე მხარე თანაბრად განიხილა .

სამონიტორინგო პერიოდში არც ჟურნალისტების და არც რესპონდენტების მხრიდან არ ყოფილა დისკრიმინაციული გამონათქვამები თუ რეპლიკები. დრო თითქმის თანაბრად ჰქონდა დათმობილი ყველა რესპონდენტს და კითხვების ფორმულირებაც ყველა რესპონდენტთან მსგავსი იყო.

გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც წამყვანმა დააფიქსირა თავის განწყობები მოქმედი ხელისუფლების მისამართით და გამოხატა აშკარა ნეგატიური დამოკიდებულება რეპლიკით, რომ მოქმედი მერი, „ცუდ მემკვიდრეობას“ ტოვებს და რას შეცვლიდა ახალი კანდიდატი, მისი არჩევის შემთხვევაში.

TV გურჯაანი

„TV გურჯაანზე“ მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „არჩევნები 2021“.

არჩევნები 2021

გადაცემის ფორმატი სტრუქტურულიზებული იყო, რაც ერთი მხრივ, უზრუნველყოფდა იმას, რომ ყველა კანდიდატი თანაბარ პირობებში ყოფილიყო, და, მეორე მხრივ, ვერ ვხედავდით ცოცხალ დიალოგსა თუ დისკუსიას როგორც სტუმრებს, ისე წამყვანსა და სტუმრებს შორის.

წამყვანის კითხვებში ჩანდა, რომ მან კარგად იცის ადგილობრივ დონეზე არსებული ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პრობლემები. თუმცა, რესპონდენტებთან იგი შემოიფარგლებოდა ზოგადი კითხვებით, არ უსვამდა მათ დამაზუსტებელ შეკითხვებს და არ ეძიებოდა საკითხში.

მაგალითად, 25 სექტემბრის გადაცემაში წამყვანმა კანდიდატებს ჰკითხა, თუ როგორ მოაგვარებდნენ წყლის პრობლემას. სტუმრების პასუხები კი ზოგადი იყო და არ ჩანდა კონკრეტული ხედვა. ორივე კანდიდატი იძლეოდა პირობას, რომ პრობლემა მოგვარდება, მაგრამ არაფერს ამბობდნენ როგორ აპირებდნენ ამას, წამყვანი კი არ ჩაძიებია და დამაზუსტებელი, კონკრეტული კითხვები არ დაუსვამს ([13:43](#)).

ოდიში

ოდიშის ეთერში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „არჩევნები 2021“

არჩევნები 2021

მონიტორინგის პერიოდში, გადაცემა ეთერში სხვადასხვა დღეს და სხვადასხვა დროს გადიოდა. ზოგიერთი გამოშვება 1 საათი გრძელდებოდა, ზოგი კი - 3.

წამყვანი ზოგადად მიუკერძოებელი იყო და არ ავლენდა პოლიტიკურ აფილაციებს. გამონაკლისი იყო 21 ოქტომბრის [გადაცემა](#), სადაც წამყვანი წარმოდგენილი იყო როგორც მხარე, აფიქსირებდა თავის მოსაზრებას და გამონათქვამდა აშკარა დადებით დამოკიდებულებას ყოფილი ხელისუფლების მიმართ. ამავე გადაცემაში ის მკაფიოდ აფიქსირებდა თავის აზრებს ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ იყო ოპოზიციური მხარე, უფრო კონკრეტულად კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი. აღნიშნულ გადაცემაში წამყვანი მტკიცებით ფორმაში საუბრობდა დანაშაულებზე, არჩევნების გაყალბებაზე, ადამიანების მოსყიდვაზე. გადაცემაში, ფაქტობრივად, მოუწოდებდა ამომრჩევლებს, რომ ხმა მიეცათ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატისთვის. წამყვანი ამავე გადაცემაში არ ერიდებოდა არაეთიკურ ლექსიკას.

ზოგადად, გადაცემა არ იყო სტრუქტურირებული და წამყვანი სათანადოდ არ აკონტროლებდა დროს. მას ჰქონდა პასიური როლი და იშვიათად ერეოდა კანდიდატების საუბარში.

გადაცემის მაყურებელი, ფაქტობრივად, ვერ ისმენდა, თუ რა ხედვები ჰქონდათ კანდიდატებს. ისინი მეტ-ნაკლებად საუბრობდნენ ქალაქში არსებულ პრობლემებზე, ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებზე, მაგრამ თავად რა ხედვა, რა პროგრამა ჰქონდათ, როგორ მოაგვარებენ ამ პრობლემებს, ამაზე არ საუბრობდნენ. ჟურნალისტი კი რესპონდენტებს არ ეძიებოდა და დამაზუსტებელ კითხვებს არ სვამდა.

გურია TV

გურია TV-ზე მონიტორები აკვირდებოდნენ „წინასაარჩევნო დებატებს“.

წინასაარჩევნო დებატები

სამონიტორინგო პერიოდში „გურია TV-ზე“ გაიმართა 2 დებატი, რომელიც რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ორივე მათგანს სხვადასხვა წამყვანი ჰყავდა. 17 სექტემბრის გადაცემაში წამყვანი ნინო ვაშალომიძე იყო, ხოლო 24 სექტემბრის გადაცემა მაგდა პოპიაშვილს მიჰყავდა.

თუ 17 სექტემბრის [დებატებში](#) წამყვანი მხოლოდ ზოგადი და ნეიტრალური კითხვებით შემოიფარგლებოდა, 24 სექტემბერს გასულ [გადაცემაში](#) წამყვანი დამაზუსტებელ კითხვებსაც სვამდა. აღსანიშნავია, რომ ზოგადი კითხვებიდან გამომდინარე, რესპონდენტები ახერხებდნენ ეპასუხათ მათთვის მომგებიანი პოზიციიდან გამომდინარე. ასევე, 24 სექტემბრის გადაცემისგან განსხვავებით, ამ გადაცემის მართვას ჟურნალისტი ვერ ახერხებდა.

კანდიდატებს ორივე გადაცემაში ეთმობოდათ თანაბარი დრო და არ იგრძნობოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური სუბიექტის მიმართ.

მთლიანობაში, გადაცემა იძლეოდა შესაძლებლობას, გაგვეგო მეტი ოზურგეთის მერობის კანდიდატების შესახებ. თუმცა, რთული სათქმელია, რამდენად იყო საკმარისი მხოლოდ ორი დებატი აუდიტორიისთვის ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.

რიონი

ტელეკომპანია რიონზე მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემებს „დიალოგი“ და „პოლიტიკური რუკა“.

„პოლიტიკური რუკა“

გადაცემის წამყვანი ხშირად არ იყო სათანადოდ მომზადებული გადაცემისთვის, არ სვამდა რელევანტურ შეკითხვებს. მისი შეკითხვები ხშირად იყო ზოგადი და რიტორიკული. მაგალითად, 28 ოქტომბრის გადაცემაში ჟუთაისის მერობის „ქართული ოცნების“ კანდიდატს წამყვანმა ჰკითხა: „როგორ მიმდინარეობდა წინასაარჩევნო, ფაქტობრივად, რთული, აქტიური პერიოდი და თქვენ რამდენად შეძელით გაკეთება, რაც გქონდათ გეგმაში? პირველ რიგში, მოიაზრება, მოსახლეობასთან შეხვედრა, მათი პრობლემების, აზრების მოსმენა და გაზიარება.“ ([00:17](#))

ჟურნალისტი სათანადო პოლემიკაში ვერ შედიოდა რესპონდენტებთან. რამდენიმე შემთხვევაში კი, ჩანდა მისი დამოკიდებულებებიც კანდიდატების მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ წამყვანს არ ჰქონდა კონტრშეკითხვები, ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად თავის სასარგებლოდ იყენებდნენ ეთერს, რასაც ჟურნალისტის მხრიდან დამატებითი, დამაზუსტებელი კითხვები არ მოჰყვებოდა.

მაგალითად, 28 ოქტომბრის გადაცემაში „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი ამბობს: „დემოკრატიული ქვეყანა და პრინციპები ითვალისწინებს იმას, რომ სხვადასხვა შტო სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელი იყოს, მაგრამ რეალობაში ეს არ მუშაობს“ ([35:58](#)).

21 ოქტომბრის გადაცემაში კი, როდესაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ არსებულ მერს მმართველობის პერიოდში ქალაქისთვის არაფერი გაუკეთებია, წამყვანი ამბობს - „არც ჰქონდა დიდი დრო, რვა თვე ჰქონდა სულ სამუშაო პროცესი. ესეც უნდა გავითვალისწინოთ“ ([1:05:37](#)).

გადაცემაში რამდენჯერმე გამოვლინდა დისკრიმინაცია და შეურაცხმყოფელი ლექსიკის გამოყენება. მაგალითად, 21 ოქტომბრის გადაცემა ეთმობოდა ქალებს პოლიტიკაში. ჟურნალისტი თავად ავრცელებდა სტერეოტიპულ გზავნილებს ქალების მიმართ. მაგალითად, ამბობდა ისეთ ფრაზებს, როგორიცაა: „ქალბატონების აქტიურობა მიხარია, რადგან მგონია, რომ უფრო მეტად გულისხმიერები არიან ქალბატონები“ ([55:54](#)). „საფიჩხიელებს ძალიან კარგად აქვთ ქალბატონთან მუშაობის გამოცდილება და, ალბათ, ამანაც ხელი შეუწყო ნდობას, ქალბატონები უფრო გულისხმიერები არიან“ ([11:45](#)). წამყვანს მსგავსი ფრაზები თავად რესპონდენტმა შეუსწორა და უთხრა, რომ ეს ადამიანზეა დამოკიდებული და არა - სქესზე.

8 ოქტომბრის გადაცემა მთლიანად დაეთმო „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატს. არჩევნების მეორე ტურამდე ერთი დღით ადრე მმართველი პარტიის კანდიდატის მოწვევა სტუდიაში და ეთერის დათმობა ოპონირების გარეშე, ავლენს მედიასაშუალებების მიკერძოებას. წამყვანს, გადაცემის მსვლელობისას, არ განუმარტავს, შესთავაზა თუ არა ეთერი ოპოზიციური პარტიის კანდიდატს.

დიალოგი

წამყვანი არ იყო მომზადებული სათანადოდ გადაცემისთვის. მისი შეკითხვები ხშირ შემთხვევაში იყო ზოგადი, რაც შემდგომ რესპონდენტებს აძლევდა იმის შესაძლებლობას, ეთერი გამოეყენებინათ ტრიბუნად, თავიანთი გზავნილების გასავრცელებლად.

წამყვანს მმართველი პარტიის წარმომადგენლებისთვის დადებითი გარემო ჰქონდა შექმნილი, ამჟღავნებდა მათდამი პირად დამოკიდებულებას და ულოცავდა გამარჯვებას. მაგალითად, 19 ოქტომბრის გადაცემაში წამყვანი ამ სიტყვებით მიმართავს მმართველი პარტიის წარმომადგენელს: „გილოცავთ წარმატებას პირველივე ტურში, თქვენი წარმატება უკვე სახეზეა და მე დარწმუნებული ვარ, რომ როგორც წინა წლებში, წინა მოწვევის საკრებულოში, თქვენ ახლანდელ საკრებულოშიც შეძლებთ თქვენი ამომრჩევლისათვის იმ საქმეების გაკეთებას, რასაც დაპირდით და რაც გევალებათ“ ([01:10](#)) .

ამავე გადაცემაში წამყვანი აცხადებდა, რომ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანია და ყველაფერს ხელისუფლებას ვერ დავაბრალებთ. ქართული ოცნების წარმომადგენელი ხშირად ადანაშაულებდა ხალხს იმაში, რომ მათ არ იციან კანონები, შესაბამისად არ იცევიან სწორად და მის შეხედულებებს წამყვანიც იზიარებდა.

უნდა აღინიშნოს, რომ წამყვანი ზოგადი ხასიათის კითხვებით შემოიფარგლებოდა ოპოზიციასთანაც, თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში ოპონირების გაწევასაც ცდილობდა.

თრიალეთი

წინასაარჩევნო პერიოდში მონიტორები აკვირდებოდნენ გადაცემას „საზოგადოების პოზიცია“.

საზოგადოების პოზიცია

გადაცემა „საზოგადოების პოზიცია“ ტელეკომპანია „თრიალეთის“ საზოგადოებრივ პოლიტიკურ საკითხებს აშუქებს. გადაცემის თემები აქტუალური იყო და ეხმიანებოდა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს.

გადაცემაში ოპოზიციისა და ხელისუფლების კანდიდატები ერთმანეთს ედებატებოდნენ. ეს დებატები მოზომილი და მეტ-ნაკლებად საქმიანი იყო. ტოქშოუში განსხვავებული მოსაზრებების მქონე პარტიების მონაწილეობა უზრუნველყოფდა მოსაზრებათა მრავალფეროვნებას და მეტ-ნაკლებად დინამიურს ხდიდა ეთერს.

წამყვანის კითხვები, როგორ წესი, რელევანტური იყო, თუმცა, ზოგადი. ზოგიერთი კითხვის ფორმულირება კი, სტუმარს აძლევდა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც მას უმარტივებდა, მოსაზრებების სასურველი მიმართულებით განვითარების შესაძლებლობას.

მაგალითად, 21 აგვისტოს გადაცემაში წამყვანი „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს ეკითხება, თუ როგორია წინასაარჩევნო განწყობა საქართველოში [\(10:24\)](#). ასეთი ზოგადი კითხვის დასმამ, სტუმარს საშუალებას მისცა ესაუბრა იმ გაკეთებულ და გასაკეთებელ პროექტებზე, რომელსაც სახელისუფლებო გუნდი რეგიონში გეგმავდა.

კონკრეტიკასთან ერთად, წამყვანის დასმულ კითხვებს ეკლდა არგუმენტაცია. წამყვანს არ მოჰყავდა კონკრეტული ციტატები ან მონაცემები კვლევებიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე, გადაცემაში დისკუსია ზედაპირული და ნაკლებად მაინფორმირებელი იყო. მიუხედავად აღნიშნულისა, გადაცემაში არ დაფიქსირებულა ბალანსის ან მიკერძოებულობის პრობლემა.

